



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
შარმოგადგენლობითი საბჭო საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL



ოქთი № 3

”13“ 03 2019 წ.

დადგენილება № 2

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.
2. დადგენილება მაღლაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის სამსახურს.
4. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ. თათეშვილის მიმართვა N280636, 07.13.2018 წ.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვეს ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. №62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი



ლავრენტი ჩიბურდანიძე